



დამოუკიდებელი ინსპექტორის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2020 წლის 07 თებერვალი

დისციპლინური საქმე №192/19-02

მოსამართლე -- -- მიმართ

დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

---- 2019 წლის 21 ნოემბრის №192 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75⁶ მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე ---- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 02 დეკემბრის №482/192-03 წერილებით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ ---- 2019 წლის 21 ნოემბრის №192 საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული გარემოებები:

---- საჩივარში აღნიშნავს, რომ მოსამართლე ---- ჩაიდინა დისციპლინური გადაცდომა. კერძოდ, განსახილველად არ დაუშვა დაცვის მხარის საკასაციო საჩივარი, მიუხედავად იმისა, რომ წინა ინსტანციის სასამართლოების მხრიდან საქმეზე გაკეთებული იყო არასწორი შეფასებები.

2. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

საქმის მასალების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ---- საქალაქო სასამართლოს მოსამართლის ---- 2018 წლის 12 მარტის განაჩენით ---- და ---- ცნობილ იქნენ დამნაშავედ საქართველოს სსკ 144³ მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „დ“, „ე“ და „ზ“ ქვეპუნქტებით (2016 წლის 1 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის.

სასამართლოს შეფასებით, საქმეზე არსებული მტკიცებულებათა ერთობლიობით, გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დადასტურდა, რომ ბრალდებულებმა ---- და ---- ჩაიდინეს პირთა დამცირება და იძულება, არაადამიანურ, ღირსებისა და პატივის შემლახავ მდგომარეობაში ჩაყენება, რაც მათ ძლიერ ფიზიკურ ტკივილს და მორალურ ტანჯვას აყენებს, ჩადენილი მოხელის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ორი ან მეტი პირის მიმართ, ჯგუფურად და დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით დაკავებული ან სხვაგვარად თავისუფლებაზეზღუდული პირის მიმართ.

---- საქალაქო სასამართლოს ზემოაღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს საქმეზე მსჯავრდებულთა ადვოკატმა ----, რომელმაც ითხოვა გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის გამოტანა.

---- სააპელაციო სასამართლოს მოსამართლის ---- 2018 წლის 29 ივნისის განაჩენით არ დაკმაყოფილდა დაცვის მხარის სააპელაციო საჩივარი და უცვლელად დარჩა ---- საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 12 მარტის განაჩენი ---- და ---- მიმართ. სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი არის კანონიერი და დასაბუთებული, ხოლო დანიშნული სასჯელი არის სამართლიანი.

----- სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული განაჩენი, საკასაციო წესით გაასაჩივრა დაცვის მხარემ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების ---- (თავმჯდომარე), ----, ---- განჩინებით, საკასაციო საჩივარი არ იქნა დაშვებული განსახილველად. საკასაციო პალატის შეფასადავით, საჩივარი არ აკმაყოფილებდა საქართველოს სსსკ 303-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსახოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

ამდენად, ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად მოქმედებდა მოსამართლე არსებული კანონმდებლობის ფარგლებში.

მოსამართლე ---- ქმედებათა სამართლებრივი შეფასებისას უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სსსკ მე-300 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო წესით შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის მიერ გამოტანილი განაჩენი, რომელიც, კასატორის აზრით, უკანონოა.

საქართველოს სსსკ 301-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივარში აღინიშნება: ა) იმ სასამართლოს დასახელება, სადაც შეიტანება საჩივარი; ბ) მონაცემები იმ პირის შესახებ, რომელსაც შეაქვს საჩივარი (სახელი და გვარი, საცხოვრებელი ადგილი, საპროცესო მდგომარეობა); გ) გასაჩივრებული განაჩენი, მისი გამომტანი სასამართლო და გამოტანის თარიღი; დ) მომჩივნის აზრით, რომელი სამართლებრივი საკითხი გადაწყდა უკანონოდ და რა ადასტურებს ამას; ე) დამატებით წარმოდგენილი მასალები.

საქართველოს სსსკ 303-ე მუხლის მე-3¹ ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლომ უნდა შეამოწმოს, დასაშვებია თუ არა საკასაციო საჩივარი ამ მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილ მოთხოვნათა შესაბამისად.

ამავე მუხლის მე-3³ ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივრის დაუშვებლად ცნობის შესახებ სასამართლოს გამოაქვს დასაბუთებული განჩინება. ეს განჩინება უნდა შეიცავდეს კასატორის მიერ მითითებული დასაშვებობის საფუძვლების არგუმენტირებულ უარყოფას.

ამდენად, მოსამართლე ---- მოქმედებდა მისთვის მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, კანონისა და შინაგანი რწმენის საფუძველზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

---- 2019 წლის 21 ნოემბრის №192 საჩივრის საფუძველზე მოსამართლე ---- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ზურაბ აზნაურაშვილი

დამოუკიდებელი ინსპექტორი